საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ტრისტან ბენაშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 30.05.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გოჩა ჯეირანაშვილის კანდიდატურა?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ტრისტან ბენაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის გოჩა ჯეირანაშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის N1/4 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის N1/10 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა გოჩა ჯეირანაშვილი.

კანდიდატების შესახებ კანონით დადგენილი წესით მოძიებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე და მათი საჯარო მოსმენის შედეგად 2024 წლის 29 აპრილს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატები, მათ შორის გოჩა ჯეირანაშვილი, რის შედეგადაც გავაკეთე დასკვნა, რომ გოჩა ჯეირანაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისირების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას გოჩა ჯეირანაშვილს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო მაღალი - 91 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 91%-ს შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 21 მაისის N1/23 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 3 კანდიდატი: გიზო უბილავა, ბადრი შონია და გოჩა ჯეირანაშვილი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, 2024 წლის 30 მაისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც გადაწყდა მითითებული 3 კანდიდატის პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენის საკითხი.

კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით გოჩა ჯეირანაშვილი შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებმაც მიიჩნიეს, რომ გოჩა ჯეირანაშვილი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიღე შემდეგი გადაწყვეტილება - გოჩა ჯეირანაშვილი წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

ტრისტან ბენაშვილი

30 მაისი, 2024 წელი